ბრძანება

ქ. თბილისი

N 802-03
09/03/2020

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ვესტფალიის მიუნსტერის ვილჰელმის უნივერსიტეტის(გერმანია) ერთობლივი თანამშრომლობის საფუძველზე, უნივერსიტეტის კარლ ფრიდრიხ ლემან-ჰაუპტის საერთაშორისო სადოქტორო სკოლის ფარგლებში 2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისთვის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ფილოსოფიის სადოქტორო პროგრამის ორ სასტიპენდიო პოზიციაზე მიღების გამოცხადების, რეგისტრაციის ვადებისა და პროცედურის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 49-ე მუხლის პირველი პუნქტის, 56-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების" მე-18 მუხლის პირველი და მეექვსე პუნქტების, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ვესტფალიის მიუნსტერის ვილჰელმის უნივერსტეტს(გერმანია) შორის 2020 წლის 20 თებერვალს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის, აკადემიური საბჭოს მიერ 2017 წლის 28 დეკემბრის №14 სხდომის ოქმით დამტკიცებული „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულების" 3.3; 6.7. პუნქტების, კარლ ფრიდრიხ ლემან-ჰაუპტის საერთაშორისო სადოქტორო სკოლის კოორდინატორის 2020 წლის 5 მარტის N3471-35 წარდგინებისა და მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანის 2020 წლის 5 მარტის N3513-35 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით

ვბრძანებ

1. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ვესტფალიის მიუნსტერის ვილჰელმის უნივერსიტეტის(გერმანია) ერთობლივი თანამშრომლობის საფუძველზე, უნივერსიტეტის კარლ ფრიდრიხ ლემან-ჰაუპტის საერთაშორისო სადოქტორო სკოლის ფარგლებში გამოცხადდეს მიღება 2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისთვის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ფილოსოფიის სადოქტორო პროგრამის 2(ორი) სასტიპენდიო პოზიციაზე ამ ბრძანების პირველი დანართში მითითებული პირობების, წარმოსადგენი დოკუმენტაციისა და ვადების შესაბამისად.

2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრულ ფილოსოფიის სადოქტორო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების მსურველთა განცხადების მიღება იწარმოებს 2020 წლის 6 მარტიდან 2020 წლის 30 მარტის 18:00 საათის (საქართველოს დროით) ჩათვლით, ამ ბრძანებით დამტკიცებული პირველ დანართში მოცემული პირობებისა და ვადების

დაცვით, შემდეგ ელექტრონულ ელექტრონულ მისამართზე tiko_kadagishvili@iliauni.edu.ge

3. დამტკიცდეს ამ ბრძანებით გამოცხადებული კონკურსის სააპლიკაციო ფორმა მე-2 დანართის სახით.

4. დამტკიცდეს ამ ბრძანების ფარგლებში გამოცხადებული კონკურსისათვის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მხრიდან მიმღები კომისია ამ ბრძანების მესამე დანართის მიხედვით.

5. გასაუბრების თარიღის შესახებ ინფორმაცია დადგინდეს ყოველი კონკრეტული აპლიკანტისათვის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ვესტფალიის მიუნსტერის ვილჰელმის უნივერსიტეტის(გერმანია) ერთობლივი პროექტის ფარგლებში ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მხრიდან მიმღებ კომისიასთან შეთანხმებით.

6. საჭიროების შემთხვევაში დაინიშნოს უცხო ენის გამოცდა/გამოცდები.

7. აპლიკატთა ჩარიცხვა სადოქტორო პროგრამაზე დასრულდეს 2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისთვის.

8. ამ ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტსა და კარლ ფრიდრიხ ლემან-ჰაუპტის საერთაშორისო სადოქტორო სკოლის სპიკერსა და კოორდინატორს;

9. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიასა და მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს, ამ ბრძანების დაინტერესებულ პირთათვის საჯარო წესით გაცნობა; მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს დაევალოს ამ ბრძანების მესამე დანართით დამტკიცებული კომისიის წევრებისათვის ბრძანების გაცნობა.

10. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს, ამ ბრძანებაში მითითებული ინფორმაცია და პირველი და მეორე დანართი განათავსოს უნივერსიტეტის ვებგვერდსა და შესაბამის სოციალურ ქსელში;

11. კარლ ფრიდრიხ ლემან-ჰაუპტის საერთაშორისო სადოქტორო სკოლის სპიკერსა და კოორდინატორს დაევალოს ამ ბრძანებით განსაზღვრული პროცესებისა და ინფორმაციის გავრცელების ადმინისტრირება.

12. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს, კარლ ფრიდრიხ ლემან-ჰაუპტის საერთაშორისო სადოქტორო სკოლის სპიკერს, კოორდინატორს, რექტორის აპარატს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რექტორის მოადგილეს-ნინო დობორჯგინიძეს, იურიდიულ სამსახურს, საგარეო ურთიერთობის სამსახურს, განვითარების სამსახურსა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.

გიგა ზედანია

რექტორი